საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 110

14 02 2017წ.

ქ. თბილისი

პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დარგისა და განათლების ფასილიტატორების შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის, პროგრამის [redacted] 2017 წლის 09 თებერვლის №118045 საერთაშორისო ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ" და „ნ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ უ ბ :

1. პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, 2017 წლის 14 თებერვლიდან 2017 წლის 19 თებერვლის ჩათვლით გამოცხადდეს კონკურსი შემდეგ თანამდებობებზე:

1.1. დარგის ფასილიტატორის თანამდებობაზე და ამ თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი ან პროფესიული განათლება ან/და 3 წლიანი გამოცდილება სკოლამდელი განათლებისა და აღზრდის სფეროში;

ბ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Power Point) კარგად ცოდნა;

1.2. დარგის ფასილიტატორის ძიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

1.2.1. აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების პროცესის დაგეგმვა, განხორციელება და ანგარიშგება ცენტრის ფარგლებში განსაზღვრული

მეთოდოლოგიითა და ინსტრუქციით, რომლის შესრულების შედეგად მოსალოდნელი შედეგებია/პროდუქტებია:

ა) საერთაშორისო და ეროვნული პრაქტიკის ანალიზი;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტის თანდართული მოდულების პროექტები;

გ) შუალედური და საბოლოო ანგარიშები, შესაბამისი თანდართული დოკუმენტაციით.

1.3. დარგის ფასილიტატორის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 ადგილზე.

1.4. კონკურსის შედეგად, დარგის ფასილიტატორის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 1400 ლარის ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

1.5. კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტის ცოდნა - საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ".

1.6. დარგის ფასილიტატორის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი პერსონალური უნარები:

ა) ლოგიკური აზროვნების;

ბ) ანალიტიკური აზროვნების;

გ) სამუშაო პროცესთან დაკავშირებული საქმიანობების კოორდინაციის;

დ) დროის მართვის;

ე) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა.

2. განათლების ფასილიტატორის თანამდებობაზე და ამ თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

ბ) ჯგუფთან მუშაობის და კოორდინაციის გამოცდილება;

გ) პროფესიულ სტანდარტებზე ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებზე მუშაობის გამოცდილება;

დ) სასურველია ერთ-ერთ უცხოურ ენაზე (ინგლისურ ან რუსულ ენებზე) კომუნიკაციის უნარი;

ე) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Power Point) კარგად ცოდნა.

2.1. განათლების ფასილიტატორის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი პერსონალური უნარები:

ა) აზრის გამართულად ჩამოყალიბება;

ბ) ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნება;

გ) სამუშაო პროცესთან დაკავშირებული საქმიანობების კოორდინაცია;

დ) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;

ე) დროის მართვა.

2.2. განათლების ფასილიტატორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

2.2.1. აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების პროცესის დაგეგმვა, განხორციელება და ანგარიშგება ცენტრის ფარგლებში განსაზღვრული მეთოდოლოგიითა და ინსტრუქციით, რომლის შესრულების შედეგად მოსალოდნელი შედეგებია/პროდუქტებია:

ა) საერთაშორისო და ეროვნული პრაქტიკის ანალიზი;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტის თანდართული მოდულების პროექტები;

გ) შუალედური და საბოლოო ანგარიშები, შესაბამისი თანდართული დოკუმენტაცია.

2.3. განათლების ფასილიტატორის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 ადგილზე.

2.4. კონკურსის შედეგად განათლების ფასილიტატორის თანამდებობაზე შეჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 1600 ლარის ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

2.5. კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ";

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ";

გ) ცენტრის დირექტორის 2015 წლის 13 ივლისის №492 ბრძანება „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტისა და მოდულის შემუშავების წესი";

დ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ".

3. დარგისა და განათლების ფასილიტატორის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე, info@eqe.ge, აუცილებლად უნდა ატვირთოს:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე, სადაც კანდიდატმა აუცილებლად უნდა მიუთითოს 2 რეკომენდატორის ვინაობა (სახელი, გვარი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი);

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

4. კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.

5. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ცენტრის ოფიციალური ვებგვერდის, www.eqe.ge, მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

6. დაევალოს საქმისწარმოების სამმართველოს კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების განხორციელების, მათ შორის, ამ ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა და ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, www.eqe.ge, გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., № 6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი თამარ სანიკიძე

ეროვნული სასწავლო გეგმა - განათლების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW - NATIONAL CURRICULUM
202330566